პოლიტიკის ნარკვევი

იტალია და აღმოსავლეთ ევროპა: რომი-მოსკოვის ღერძს დაქვემდებარებული დოსიე?

ნონა მიხელიძე

თბილისი
2017

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

იტალია და აღმოსავლეთ ევროპა: რომი-მოსკოვის ღერძს დაქვემდებარებული დოსიე?

ნონა მიხელიძე*

წლების მანძილზე იტალიის საგარეო პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა ქეყნების მიმართ ორმხრივი ურთიერთობების ფორმატში და აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში ვითარდებოდა. იტალია მიესალმა 2009 წელს დაწყებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის წინადადებას და მას მერე მხარს უჭერს ევროკავშირის თითქმის ყველა ინიციატივას - მათ შორის საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ვიზალიბერალიზაციის პროცესს. ამასთან, ოფიციალურმა რომმა ხელი შეუწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქართველოში გაგზავნას.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იტალია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყანაა, ის მეტ ყურადღებას აღმოსავლეთის ნაცვლად სამხრეთ სამეზობლოს უთმობს. იტალიის ევროკავშირის სამზობლო პოლიტიკის 2014-2020 წლის ბიუჯეტი ნათლად მიუთითებს ქვეყნის პრიორიტეტებზე - ბიუჯეტის ერთი მესამედი მიმართულია იტალიის აღმოსავლთ, ხოლო ორი მესამედი ქვეყნის სამხრეთ სამეზობლოზე[1]. ამასთან, აღმოსავლეთ სამეზობლოსთან იტალიის ურთიერთობები, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, ყოველთვის ქვეყნის რუსეთთან თამაშრომლობის გავლენის ქვეშ ექცეოდა. როდესაც ევროკავშირმა რუსეთის საქართველოში ინტერვენციის საპასუხოდ 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა წამოიწყო, იტალიამ შეშფოთება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ფორმატი ანტი-რუსულ ინიციატივად წარმოჩნდებოდა და პროგრამაში რუსეთის ჩართვის შესახებ წინადადება წამოაყენა. აქედან გამომდინარე, იტალიისთვის აღმოსავლეთ სამეზობლოს მნიშვნელობის გასააზრებლად აუცილებელია რომი-მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური ღერძის როლისა და მოდუს ოპერანდის ანალიზი.

იტალია-რუსეთის პარტნიორობა

პოლიტიკური ურთიერთობები

იტალია და რუსეთი ერთმანეთთან ურთიერთობებს „პრივილეგირებულ და სტრატეგიულ“ ურთიერთობებად აფასებენ. რუსეთი იტალიას მისი ფართო ევროპული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიიჩნევს, მაშინ როცა რომს რუსეთის ყველა საერთაშორისო დიალოგში ჩართულობა კონტინენტის გრძელვადიანი უსაფრთხოების

*ნონა მიხელიძე, აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის პროგრამის ხელმძღვანელი, Istituto Affari Internazionali (IAI), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

[1] Francescon, Silvia. “Italy and the Eastern Partnership: the view from Rome”, Commentary, European Council on Foreign Relations, 19 მაისი 2015, http://www.ecfr.eu/article/commentary_italy_and_the_eastern_partnership_the_view_from_rome3034.

უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად წარმოუდგენია[2]. უფრო კონკრეტულად კი, იტალიისთვის რუსეთი ევროპული უსაფრთხოების წესრიგის განუყოფელი ნაწილია. მართლაც, 2008 წელს ოფიციალურმა რომმა ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი რუსეთის ყოფილ პრეზიდენტ - დმიტრი მედვედევის წინადადებას ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ.

მრავალმხრივ ფორმატში, იტალია დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოში (CBSS)[3] და აქტიურ არქტიკის პოლიტიკას რამდენიმე საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივებთან ერთად ატარებს. ამასთან, 2013 წელს დამკვირვებლის სტატუსით იტალიის არქტიკის საბჭოში გაწევრიანებამ ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გააღრმავა[4]. თანამშრომლობის კიდევ ერთი ფორმატი ნატო-რუსეთის საბჭოა (NRC), რომელიც 2002 წელს რომში დაარსდა.

წლების მანძილზე, ორმა ქვეყანამ დაახლოებით ორმოცდაათამდე ორმხრივ შეთანხმებას მიაღწია, რასაც თან ახლდა ქვეყნის მმართველი პირების ხშირი ვიზიტები. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის და ყირიმის ანექსიის მიუხედავად, პოლიტიკური პარტნიორობა დღესაც გრძელდება. როგორც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, „მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობები გრძელდება იმ კრიტიკულ დროსაც კი, როდესაც მოსკოვს სანქციები აქვს დაწესებული“[5]. რომი მოსკოვთან ახლო ურთიერთობებს საქართველო-რუსეთის ომის დროსაც აგრძელებდა, ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მოზომილი პოზიცია ეჭირა და კონფლიქტზე პასუხისმგებლობას მხოლოდ რუსეთზე არ აკისრებდა[6].

იტალიის ინტელექტუალურმა და პოლიტიკურმა ელიტამ აქტიურად შეუწყო ხელი „რუსეთი პირველი“ პოლიტიკის ფორმირებას, როდესაც საქმე იტალიის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობას ეხებოდა. იტალიის პოლიტიკურ სპექტრში არ არის მკვეთრი სხვაობა მემარცხენე, მემარჯვენე, რადიკალურად მემარჯვენე და პოპულისტ პარტიებს შორის. წლების მანძილზე ყველა იტალიურ პოლიტიკურ პარტიას მსგავსი საგარეო პოლიტიკური კურსი ეჭირა რუსეთის მიმართ, რაც მოსკოვის გულის მოგების პოლიტიკის აქტიურ მხარდაჭერას გულისხმობდა. როგორც მოქმედი, ისე გადამდგარი პოლიტიკოსები და ელჩები ხშირად აღნიშნავენ, რომ ნატოსა და ევროკავშირს უნდა დაერწმუნებინათ პუტინი, რომ უკრაინა და საქართველო არასოდეს გახდებოდნენ ევროატლანტიკური ინსტიტუტების წევრი ქვენები (იტალია იყო ერთ ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, რომელმაც უარი განაცხადა საქართველოსა და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებაზე 2008 წლის ნატოს ბუქარესტის

[2] Arbatov, Nadezhda. “Italy, Russia’s Voice in Europe?” *Russie.Nei.Visions*, No 62, September 2011, https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifrirussieitaliearbatovaengsept2011.pdf.
[3] “International Organizations” *Italian Ministry of Foreign Affairs,* http://www.esteri.it/mae/en/politica_estera/aree_geografiche/europa/ooii/ooii.html#3.
[4] “Italy in the Arctic: the political dimension” *Italian Ministry of Foreign Affairs*. http://www.esteri.it/mae/en/politica_estera/aree_geografiche/europa/artico/strategia-dell-italia-nell-artico.html.
[5] “Relations Between Italy and Russia.” *Italian Ministry of Foreign Affairs*, http://www.esteri.it/mae/en/politica_estera/aree_geografiche/europa/i_nuovi_rapporti.html#1.
[6] Arbatov, Nadezhda. Op. cit.

სამიტზე). კრემლის მიმართ კრიტიკა იტალიაში ხშირად რუსოფობიურად და კრემლის დამიცრებად აღიქმება.

იტალიურმა მედიამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ყველა იმ მოძრაობისა და პარტიის პოპულისტური დღისწესრიგისთვის, რომლებიც იტალიის მიერ ნატოს, ევროკავშირისა და ევროზონის დატოვებას უჭერდა მხარს. რუსეთის ოფიციალური პირები რეგულარულად ხვდებიან იტალიის ანტი-ისტაბლიშმენტს: ხუთი ვარსკვლავის მოძრაობასა (M5S) და ანტი-იმიგრაციულ ჩრდილოეთის ლიგას. მართლაც, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე პროტესტი ევროპის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი იტალიის პოლიტიკური პარტიების უფრო ფართო კოალიციის (რომელიც მოიცავს ხუთი ვარსკვლავის მოძრაობას, ჩრდილოეთ ლიგას და მემარჯვენე ფრთას „იტალიის ძმები) პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი თემა გახდა. ამ პოლიტიკას ასევე იზიარებს მმართველი კოალიციის ნაწილი, რომელსაც სათავეში დემოკრატიული პარტია უდგას.

იტალიის პოლიტიკურ ისტაბლიშმენტში რუსეთის პროპაგანდის წარმატება ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ საბჭოთა პერიოდში იტალიაში ევროპის ყველაზე გავლენიანი კომუნისტური პარტია არსებობდა, რომლის ლიდერებიც მოსკოვში იღებდნენ განათლებას. კოლაბორაციის გამოცდილებამ განაპირობა ის, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს იდეოლოგიური კავშირები და დაფინანსების წყაროები. მეორე მხრივ, იტალიის მემარჯვენე და რუსეთის პოლიტიკურ ელიტას შორის ურთიერთობები დიდწილად განაპირობა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და იტალიის ყოფილ პრემიერ მინისტრ - სილვიო ბერლუსკონის (რომელიც ეროვნული მედიის 50%-ს აკონტროლებს) შორის არსებულმა პირადმა ურთიერთობებმა.

ეკონომიკა და ენერგეტიკა

იტალიასა და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა ყოველთვის ძლიერი იყო, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. 2015 წლის ეკონომიკური მონაცემების მიხედვით ჰიდროკარბონატებზე ფასების დაცემისა და რუსული რუბლის გაუფასურების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობამ 21 მილიარდი ევრო შეადგინა[7]. ასობით იტალიურმა ბიზნესმა რუსეთის ბაზარზე ნიშა გამონახა, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, სადაც იტალიელების მიერ მართული UniCredit რუსეთის უმსხვილესი უცხოური ბანკი გახდა[8]. ამასთან, 2009 წლიდან მოყოლებული საგრძნობლად გაიზარდა ტურისტული ნაკადი რუსეთიდან იტალიაში.

2016 წელს, რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების პერიოდში, ოფიციალურმა რომმა და მოსკოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომელმაც ჯამში 1 მილიარდი ევრო შეადგინა. შეთანხმებები მოიცავდა თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის კოსმოსის, ენერგეტიკის, საზღვაო გადაზიდვებსა და აერონავტიკის სფეროებში. რუსულმა გაზის მწარმოებელმა Novatek-მა ორ სხვადასხვა შეთანხმებას მოაწერა ხელი

[7] "Relations Between Italy and Russia." *Italian Ministry of Foreign Affairs*, http://www.esteri.it/mae/en/politica_estera/aree_geografiche/europa/i_nuovi_rapporti.html#1.
[8] "Relations Between Italy and Russia." *Italian Ministry of Foreign Affairs*, http://www.esteri.it/mae/en/politica_estera/aree_geografiche/europa/i_nuovi_rapporti.html#1.

იტალიის Saipem-თან თხევადი გაზის (LNG) მიმართულებით თანამშრომლობაზე. რუსულმა ნავთობკომპანია Rosneft-მა ხელი მოაწერა სხვადასხვა შეთანხმებებს Eni-სთან; ხელი მოეწერა შეთანხმებას Fincantieri-სთან საერთო საწარმოს შექმნის თაობაზე ხომალდების დიზაინისა და საინჟინრო სამუშაოებისთვის; შეიქმნა კიდევ ერთი საერთო საწარმო Pietro Barbato-სთან საზღვაო ტვირთების გადაზიდვისთვის და გაფორმდა სტრატეგიული პარტნიორობა რუსულ ვერტმფრენებსა და Leonardo-Finmeccanica-ს შორის AugustaWestnland 189 ტიპის 30 ვერტმფრენის მოწოდების თაობაზე.

რაც შეეხება ენერგეტიკის სექტორს, რუსეთი იტალიისთვის მთავარ ენერგომიმწოდებლად რჩება. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანა რუსეთიდან ნავთობის 20%-ისა და გაზის 47%-ის იმპორტს ეწევა. იტალიის ენერგო მიქსის უდიდეს ნაწილი - 36.7% ბუნებრივი აირის მოხმარებაზე მოდის. ამასთან, იტალიის მიერ ევროკავშირის „20-20-20“ დეკარბონიზაციის გეგმით აღებული ვალდებულება და კონკურენტი ენერგომომწოდებელი რეგიონების არასტაბილურობა ახლო მომავალში მხოლოდ გაზრდის იტალიის დამოკიდებულებას რუსულ ენერგო რესურსებზე. გაურკვევლობა ჩრდილოეთ აფრიკის ბუნებრივი აირის ალჟირიდან ტრანსპორტირების გარშემო და ლიბიის სახიფათო შიდა პოლიტიკური გარემო, ენერგო-რესურსების დივერსიფიცირებას კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს.

თუმცა, როგორც ირკვევა იტალიელ პოლტიკოსებს არ გადაუდგამთ არც ერთი სერიოზული ნაბიჯი რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ნაცვლად ამისა, იტალიის მონაწილეობამ ლურჯ ნაკადსა და (აწ უკვე გაუქმებულ) სამხეთ ნაკადის მილსადენის პროექტში მიანიშნა ქვეყნის სურვილზე უფრო მეტად დაახლოვებოდა რუსეთს ენერგო ბაზარზე[9]. ურთიერთობების მეტად დათბობის მიზნით, რუსულმა Gazprom-მა და იტალიურმა Eni-მ 2003 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც კრძალავდა რუსული გაზის რეექსპორტს[10]. 2007 წელს გამოცემა The Economist, გამოეხმაურა „იტალიის ენერგო კომპანიებს Eni-სა და Enel-ს, [რომლებიც] პირდაპირ ატარებენ Gazprom-ის ინტერესებს“[11].

იტალია და რუსეთის ომი საქართველოსა და უკრაინაში

იტალიაში საქართველოსა და უკრაინის (და ზოგადად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების) შესახებ რუსული პროპაგანდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაიწყო და 2013 წელს მეიდანის მოვლენებითა და ყირიმის ანექსიით გაგრძელდა. კრემლის ნარატივის წარმატებამ, რომელიც საბჭოთა დეზინფორმაციის მეთოდებს ემყარება, ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა იტალიაში იმ პოლიტიკურ-კულტურული კლიმატის

[9] “Energy Policies of IEA Countries: Italy” *International Energy Agency,* 2016, https://www.researchgate.net/publication/303738148_Italy-Russia_relations_energy_politics_and_other_business.
[10] Arbatov, Nadezhda. “Italy, Russia’s Voice in Europe?” *Russie.Nei.Visions*, No 62, September 2011, https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifrirussieitaliearbatovaengsept2011.pdf.
[11] The position of Gazprom depends on the support of European concerns that are leaders in their countries of industrie – Gaz de France, Eni and Ruhrgas, The Economist, 13 April 2017.

წყალობით, რომელიც პრეზიდენტ პუტინის მიერ გაჟღერებულ გეოპოლიტიკურ ნარატივებს ეხმიანება.

რა არის ამის მიზეზი? პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის, ასევე რეგიონში პოლიტიკური პროცესების ისტორიის შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ეს პრობლემაა არა მხოლოდ რიგით მოქალაქეებს, არამედ წამყვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესთა ჯგუფებს, მაგალითად პოლიტიკოსებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიის წარმომადგენლებსაც ეხება. ამ უკანასკნელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთმა არ გაითვალისწინა რუსული სენტიმენტები; შესაბამისად, მათი წარმოდგენით ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და ყოფილ საბჭოთა სივრცეში ევროკავშირის პოლიტიკა დემოკრატიის მხარდაჭერის მიმართულებით, ტაქტიკურ შეცდომას წარმოადგენდა. ამან რუსეთის საპასუხო რეაქცია გამოიწვია, რაც საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ ომებში გამოიხატა.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის იტალიელი ანალიტიკოსები საბჭოთა მოსკოვის ყოფილი კორესპონდენტები ან კრემლთან დაახლოებული მკვლევარები არიან, რომლებიც საზოგადოებას სუსტ და პოლარიზებულ ანალიზს - რუსული მას-მედიისგან გაჟღერებული სტატიების ანალოგს სთავაზობენ. მაგალითად, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, იტალიის ნახევრად აკადემიურმა ჟურნალმა „Limes" გამოაქვეყნა გამოცემა სახელით „ევრაზია, ჩვენი მომავალი?". რამდენიმე სტატიის გარდა, გამოცემა შეიძლება ევრაზიის პროექტის მანიფესტოდაც განვიხილოთ, რომელსაც რუსი ევრაზიანისტი - ალექსეი დუგინი უჭერს მხარს. ამ ჟურნალის მიხედვით, ომი საქართველოს პრეზიდენტ მიხელ სააკაშვილის „მბრწყინავი სიგიჟის" და დასავლურ ალიანსში გაწევრიანებისათვის ქვეყნის მოუმზადებლობის გამოვლინება იყო. სტატიის ავტორი დასავლელ აქტორებს მოუწოდებდა არ „დატოვებინათ გეოპოლიტიკური კვანძები ფანატიკოსების, კრიმინალებისა და იმბეცილების ხელში და არ დაეჭირათ მათთვის მხარი იარაღისა და რესურსების გადაცემით ევროკავშირის გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე"[12].

როდესაც უკრაინის სამთავრობო ჯარებსა და დონბასის სეპარატისტებს შორის კონფლიქტი დაიწყო, იტალიის მედიის უმრავლესობა რუსულ ნარატივს გაყვა. ბევრ გაზეთსა და ინტერნეტ გამოცემაში კიევის მთავრობა ნაცისტურ ხუნტად მოიხსენიებოდა; ისტორიკოსმა და შუა საუკუნეების მკვლევარმა ფრანკო კარდინიმ, რომელთანაც ინტერვიუ Libero-მ ჩაწერა, მაიდანი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორკესტრირებულ ურკაინულ-პოლონურ სახელმწიფო გადატრიალებად დაახასიათა და მაიდანის დემონსტრანტები ნაცისტებად მოიხსენია[13]. იტალიაში რუსული პროპაგანდის წარმტების აღსაქმელად, განსაკუთრებით, როდესაც საქმე უკრაინას ეხება, აუცილებელია 1990-იან წლებში გამოცემული ჟურნალებისა და გაზეთების - მაგალითად კვლავაც Limes-ს გაანალიზება - იმის გასაგებად თუ როგორ

[12] Mini, Fabio. Com'è davvero andata la guerra [How the war really started], LIMES: Rivista Italiana di Geopolitica, 2 September 2008, http://www.limesonline.com/cartaceo/come-davvero-andata-la-guerra.

[13] Intervista: Lo storico Franco Cardini: "Usa, che flop in Ucraina. Hanno scatenato quattro nazistacci" [USA, floping in Ukraine. They unleashed four Nazis], 31 March 2014, http://www.liberoquotidiano.it/news/esteri/11583308/Lo-storico-Franco-Cardini--.html.

არის დახასიათებული პოსტსაბჭოთა უკრაინა. იტალიური ნარატივის მიხედვით, უკრაინა არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის იყო რუსეთს მიერთებული ქვეყანა, რომელიც საბოლოოდ ან რუსეთის ფედერაციის ნაწილი გახებოდა ან ორ ნაწილად - აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინად გაიყოფოდა[14].

იტალია კვლავ აგრძელებს ევრო-ატლანტიკურ პოლიტიკას რუსეთის მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელი პოლიტიკოსების სულ უფრო მზარდი რაოდენობა აცხადებს, რომ იტალიასა და რუსეთს შორის უმაღლესი დონის ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას ალტერნატივა არ გააჩნია, ორ ქვეყანას შორის დღეს არსებული ურთიერთობები რა თქმა უნდა შორსაა სილვიო ბერლუსკონის დროს რუსეთსა და მოსკოვს შორის არსებულ კავშირებისგან[15]. ჯენტილონის კაბინეტი (რენცის შემდეგ) აცხადებდა, რომ რუსეთი რჩებოდა იტალიის სტრატეგიულ პარტნიორად, თუმცა არ აღიარებდა ყირიმის რეფერენდუმის ლეგიტიმურობას და გმობდა რუსეთის მიერ ნახვარკუნძულის ანექსიას. მისმა მთავრობამ მხარი დაუჭირა რუსეთის G8 ფორმატიდან გარიცხვას და შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ამასთან, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ინიციატივის შეკავების გაძლიერების ფარგლებში, იტალიამ ლატვიაში 140 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

მაშინ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ახლანდელმა პრემიერ მინისტრმა პაოლო ჯენტილონიმ აღნიშნა, რომ იტალია ყოველთვის მხარს უჭერდა ალიანსის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში თავდაცვითი სტრუქტურების გაძლიერებას. თუმცა, მან ასევე ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ეს მიდგომა „რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის პოლიტიკის ნაწილი არაა. ეს არის დარწმუნებისა და ატლანტიკური ალიანსის საზღვრების დაცვის პოლიტიკა“ და აღნიშნა რომ ინიციატივას „არ აქვს მინიმალური ეფექტი“ იტალიასა და რუსეთს შორის არსებულ დიალოგზე[16]. შესაბამისად იტალია ინარჩუნებს კრემლთან დიალოგის რეჟიმს და ამასთან რჩება დასავლეთის პოლიტიკის ერთგული უკრაინის კრიზისზე საპასუხოდ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ევროპისა და ევრო-ატლანტიკური სივრცის წევრობა იტალიის საგარეო პოლიტიკის საფუძვლებია.

[14] Pasquale, Massimiliano Di. Perché la propaganda russa trova terreno fertile in Itali? [Why does Russian propaganda find fertile soil in Italy?] *Strade Verso Luogo non Comuni*, http://stradeonline.it/55-numeri/2017/maggio-giugno-2017/2829-perche-la-propaganda-russa-trova-terreno-fertile-in-italia.

[15] Kostyuk, Ruslan. Why Italy is looking to break Russia's isolation from the West, *Russia Direct*, 6 March 2015, http://www.russia-direct.org/analysis/why-italy-looking-break-russia%E2%80%99s-isolation-west.

[16] Russia, Italia invia 140 soldati in Lettonia. Nato: "Mosca potrebbe usare la forza". Cremlino protesta: "Politica distruttiva" [Russia, Italy sends 140 soldiers to Latvia. NATO: "Moscow could use force". Kremlin protests: "Destructive politics"], 14 October 2016, http://www.ilfattoquotidiano.it/2016/10/14/russia-italia-invia-140-soldati-in-lettonia-nato-mosca-potrebbe-usare-la-forza/3098173/.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პუბლიკაცია მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს” ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის” და ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველოსა” შეხედულებებს.